იდიომი: „ედემის ბაღი“ – მხიარული აქტივობები ბავშვებისთვის

ინა იმედაშვილი

ედემის ბაღი - უნივერსალური იდიომია, ის მითოსის ნაწილია და არავითარ შემთხვევაში მხოლოდ ქრისტიანობისა და ერთი რელიგიის. სწორედ ამიტომაც ამ იდიომმა ჩვენს ენაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა. ის ყველაზე ლამაზს, ღვთაებრივს და ჯადოსნურ ადგილს აღნიშნავს.

მასწავლებლები ძალიან ვუფრთხით საგაკვეთილო პროცესში ისეთი ამბებისა და ისტორიების შეტანას, რომლებიც რომელიმე რელიგიას უკავშირდება. ვშიშობთ ტოლერანტობის პრინციპი არ დავარღვიოთ ან რომელიმე ჩვენს მოსწავლეს, რომელიც სხვა კონფესიის აღმსარებელია, არ ვაწყენინოთ. თუმცა ამდაგვარი გაფილტვრაც საკმაოდ ხელოვნური და ნაძალადევია, როდესაც მაინც გვიწევს მთელი რიგი პროგრამული ტექსტების სწავლება, რომელთა სიუჟეტებშიც ქრისტიანულ რელიგიას წამყვანი ადგილი უკავია, უფრო სწორედ, ქრისტიანობის გამტკიცების მიზნითაა დაწერილი, მაგალითად: ჰაგიოგრაფია. რელიგიის მიმართ ასეთი შიშნარევი დამოკიდებულობით, ჩვენ უნებურად მთელ ქართულ ლიტერატურას გვერდს ვუვლით, რადგან ჩვენს მწერლობაში ძირითადი ხაზი, ძირითადი სიმბოლოები, ალუზიები თუ მეტაფორები - ქრისტიანულია და ბიბლია/სახარებიდან მომდინარეობს. ქრისტიანობამ თავის მხრივ ეს ყველაფერი წარმართობიდან აიღო, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა, და ამაზე სხვა დროს.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობა, როგორც რწმენის ვალდებულება მოსწავლეებს თავზე არ უნდა მოვახვიოთ და უხერხული სიტუაცია არ უნდა შევქმნათ, თუმცა მისი გააზრების როგორც ისტორიის, როგორც ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებლის უარყოფით უფრო მეტს დავაშავებთ და მთავარ მიზანს - სიღრმისეულ სწავლებას - ავცდებით.

ქრისტიანობა რომ ჩვენთვის უამრავი რამის განმსაზღვრელია, ეს ენაშიც და ლექსიკაშიც კარგად ჩანს, განსაკუთრებით კი იდიომებში, იდიომებს ხომ ყველაზე სხარტად და მოკლედ შემოუნახავს ერის რწმენა-წარმოდგენები.

ამ ბოლო დროს, სოციალურ ქსელებში უამრავი ადამიანი აზიარებს მოთხოვნას, რომ სკოლებში რელიგია ისწავლებოდეს, რაც თავისთავად დაცლილია შინაარსისგანაც და არსისგანაც, რაც უბრალოდ ზედაპირული ეპატაჟი ან გაუაზრებელი მოთხოვნაა. იმიტომ, რომ ჩვენს სკოლებში, ქართულის პროგრამას თუ კარგად გადავხედავთ, ქრისტიანობის მიღმა და მისი სწავლების გარეშე, შეუძლებელია ტექსტების განხილვა, სწავლა, გააზრება. არა მხოლოდ ძველი ქართულის, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი წარმმართველი მოტივიც ისევ ღმერთს უტრიალებს, ისევ

ბიბლიურ სიმბოლოებს ვუბრუნდებით, ან უღმერთობისა და ურწმუნობის თემებს ისევ ღმერთთან და ქრისტესთან მივყავართ. სხვა თუ არაფერი, „ვეფხისტყაოსნის“ ზედაპირული წაკითხვაც კი შეუძლებელია ქრისტიანობასთან კავშირის გარეშე. მაშ, რის სწავლებას ითხოვს ხალხი? თუ საუბარია გაკვეთილზე ლოცვებზე და პირჯვრის წერაზე, ეს უკვე სკოლის კომპეტენციას სცდება და ტაძრის, მოძღვრის კომპეტენციაში გადავდივართ. თუმცა ქრისტიანობასთან ერთად აუცილებლად შემოდის ქართველების წარმართული ისტორიაც და ისლამიც. აქაც ბეწვის ხიდზე სიარულია საჭირო, ისე მივაწოდოთ ბავშვებს მასალა, ინფორმაცია - რომ სიმართლესთან ერთად სხვა რწმენების მიმართ პატივისცემაც შევინარჩუნოთ.

დავბრუნდეთ იქ, საიდანაც დავიწყეთ, გაგიზიარებთ კიდევ ერთი იდიომის „ედემის ბაღის“ სწავლებისა და გააზრების რამდენიმე საინტერესო აქტივობას, რომლებიც ბავშვებს ძალიან მოეწონებათ, იხალისებენ, პარალელურად კი ქართული ენის სიღრმეებს დაიპყრობენ.

ხშირად გვითქვამს ან გაგვიგონია, ულამაზესი, ყვავილებით მოფენილი ბაღის მიმართ აღფრთოვანების გამომხატველი სიტყვები: „ისეთი ლამაზია ნამდვილი ედემის ბაღიაო“. სად არის ედემის ბაღი, ან ასეთი ლამაზი როგორ არის, რომ უკვე საუკუნეებია მისი სილამაზე არ ავიწყდებათ და მშვენიერების ეპითეტად მოიხმობენ?

ათასწლეულების და ასწლეულების წინ, ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ღმერთმა ადამიანებს დედამიწაზე სამოთხე შეუქმნა, რომელსაც ედემის ბაღი, იგივე ღვთის ბაღი ეწოდა. მიწიერი სამოთხე ოთხი მდინარის სათავეში მდებარეობდა, ეს ოთხი მდინარე კი მას რწყავდა და აცოცხლებდა.

ედემის ბაღი სავსე იყო მშვენიერი მცენარეებით, ხეებით, ყვავილებით, ფრინველებითა და ცხოველებით. ხეები უგემრიელეს ხილს ისხამდნენ, ცხოველები და ფრინველები კი ერთად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მათზე პირველ ადამიანებს, ადამსა და ევას უნდა ეზრუნათ. თუმცა ადამმა და ევამ საბედისწერო შეცდომა დაუშვეს და ამ უმშვენიერესი ბაღის დატოვება მოუხდათ. თან კი ედემის ბაღის სილამაზეზე ოცნება და იქ დაბრუნებაზე ფიქრი გაიყოლეს.

აქტივობა 1:

როგორ ფიქრობ, რა ჯიშის ხეები, ყვავილები, ფრინველები და ცხოველები იარსებებდნენ ედემის ბაღში? მათი დასახლებები შეგიძლია აქ ჩამოწერო.

ხეები	ყვავილები	ფრინველები	ცხოველები

აქტივობა 2:

წარმოიდგინე, რომ მხოლოდ ხუთი სიტყვით გაქვს უფლება, ეს ამბავი მოჰყვე. რომელ ხუთ სიტყვას შეარჩევდი? რატომ?

აქტივობა 3:

რას უდრის სიტყვები?

თითოეულ ასო-ბგერას საკუთარი ციფრი აქვს. ასო-ბგერებით კი იქმნება სიტყვები. თუკი სიტყვებში ამ ციფრებს შევკრებთ, მივიღებთ ამ სიტყვის რიცხვს. ორნიშნა ან სამნიშნა რიცხვში შემავალ ციფრებსაც თუ მივუმატებთ ერთმანეთს, საბოლოოდ სიტყვის ერთნიშნა ციფრი გამოგვივა.

აბა სცადე, დაუკვირდი ნიმუშს.

ა-1, ბ-2, გ-3, დ -4, ე-5, ვ -6, ზ -7, თ - 8, ი - 9, კ -10, ლ -11, მ -12, ნ -13, ო -14, პ - 15, ჟ -16, რ -17, ს -18, ტ -18, უ -19, ფ -20, ქ - 21, ღ -22, ყ-23, შ -24, ჩ -25, -26, ც - 27, ძ-28, წ-29, ჭ-30, ხ -31, ჯ-32, ჰ -33.

სიტყვა	მაგალითი	სიტყვის ციფრი
ბაღი	2+1+22+9=34	3+4=7
ედემი		
მშვენიერი		
ცხოველი		
ადამიანი		
დედამიწა		
სილამაზე		

აქტივობა 4:

ასოციაციობანა

ასოციაციაა, როდესაც რომელიმე სიტყვის წაკითხვა/გაგონებაზე სხვა სიტყვა გახსენდება. მაგალითად, წვიმაზე შესაძლოა, ქოლგა გაგახსენდეს, ქოლგაზე - ქუჩა, ქუჩაზე - შუქნიშანი, შუქნიშანზე - წითელი, წითელზე - ვაშლი, ვაშლზე - ადამი და ევა, ადამზე და ევაზე - ედემის ბაღი, ედემის ბაღზე კი - ეს ჩვენი წიგნი და ასე დაუსრულებლად.

მოდი, დაეხმარე ადამსა და ევას ლაბირინთი გაიარონ და ედემის ბაღის ცხოველებს საკვები მიუტანონ. ლაბირინთში სიტყვები უნდა ჩაწერო, სიტყვა რომელზეც შენი წარმოსახვა უნდა ჩართო: ედემის ბაღია.



აქტივობა 5:

შენ როგორ წარმოგიდგენია ედემის ბაღი? რა ფერები იქნება უფრო მეტად? ჩახატე აქ.



აქტივობა 6:

ედემის ბაღს სხივებად ის წინადადებები მოუწერე, რომელშიც, როგორც ფრაზას, ისე გამოიყენებდი:



აქტივობა 7:

ბუნების სურათის აღწერას ჰქვია პეიზაჟი. შეეცადე, ედემის ბაღის პეიზაჟი წარმოიდგინო, როგორი იქნებოდა ედემის ბაღში მზის ჩასვლა ან ამოსვლა? ყვავილები? ხეები? მდინარეები? ცხოველები? შენს ტექსტში გამოიყენე ეპითეტები, შედარებები.